

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ უერთდება „სოციალური დახმარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის“ ინიციატივას

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ აგრძელებს „სოციალური დახმარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდთან“ თანამშრომლობას და უერთდება ფონდის მორიგ ინიციატივას ჩვენი ქვეყნის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევად.

გაერთიანება „სოციალური დახმარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის“ ძირითადი მიზანია სოციალურად დაუცველი ფენების მდგომარეობის შემსუბუქება (მარტოხელა მოხუცები, ობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, ლტოლვილები და ა.შ.). უკვე 12 წელია ფონდი რეგულარულად ახორციელებს სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობას. გარდა ამისა ზრუნავს 5-ზე მეტ მართლმადიდებლურ ეკლესიის მრევლზე; შეძლებისდაგვარად აწყოებს სადილებს, არიგებს კვების პროდუქტებს, პირველადი აუცილებლობის საგნებს და მედიკამენტებს, ტანსაცმელსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს. ასევე ფონდი ყოველ წელს აწყოებს საშობაო ნაძვის ხეს ბავშვებისთვის.

ამჯერად „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ მოხარულია, რომ წვლილი შეაქვს სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის საადგომო ძღვენის დარიგებაში, რომლის ორგანიზებას აღნიშნული ფონდი ყოველწლიურად ახდენს.

02.05.2013

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

